KARR0155387412123

სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის

ბრძანება

№ 1-1/50 **06 / ოქტომბერი / 2023 წ.**

"ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე (80702 კვ.მ) არეალზე მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე" სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის 2023 წლის 14 ივნისის №1-1/32 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ურეკიშეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე (80702კვ.მ) არეალზე მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე“ სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის 2023 წლის 14 ივნისის № 1-1/32 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება ან დავალება) ალექსანდრე ნამორაძის (პ.ნ01036001755) 2023 წლის 8 ივნისს № 460/09 განცხადების საფუძველზე მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე (80702კვ.მ) არეალზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე და გაცემულ იქნა შესაბამისი დავალება.

ამავე ბრძანების საფუძველზე სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსსა და დაინტერესებულ პირ ალექსანდრე ნამორაძეს შორის გაფორმდა 2023 წლის 14 ივნისის №6/23 ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

2023 წლის 28 სექტემბერს № 770/09 განცხადებით ალექსანდრე ნამორაძემ (პ.ნ01036001755) მომართა სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს „ურეკიშეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე (80702კვ.მ) არეალზე მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე“ სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის 2023 წლის 14 ივნისის № 1-1/32 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება ან დავალება) დამტკიცებული არეალის შემცირებასა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ კორექტირებული საპროექტო არეალი განთავსებულია ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის საზღვრებში და -„ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის № 590 დადგენილებით დამტკიცებული დანართების შესაბამისად, ხვდება საკურორტო ზონა 2 (შზ-7)- ის საპროექტო არეალში.
დაგეგმვის ამოცანას წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის განვითარება მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსით, საკურორტო ზონა 2 (შზ-7)-ში დადგენილი პარამეტრების დაცვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შევიდეს ცვლილება „ურეკიშეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე (80702კვ.მ) არეალზე მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე“ სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის 2023 წლის 14 ივნისის №1-1/32 ბრძანებაში და ბრძანების დანართებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე.

ვბრძანებ:

1.შეტანილ იქნას ცვლილება „ურეკიშეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე (80702კვ.მ) არეალზე მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე“ სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის 2023 წლის 14 ივნისის №1-1/32 ბრძანებაში და ბრძანების:
ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე (37442კვ.მ) არეალზე მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე"
ბ) დანართი №1 ჩანაცვლდეს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული დანართი №1-ით;
2.დაევალოს სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს ურბანულ განვითარების დეპარტამენტს 2023 წლის 14 ივნისის №6/23 ადმინისტრაციული ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანისათვის საჭირო ღონისძიებების უზრუნველყოფა.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4.ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, № 6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ზურაბი წიკლაური